
სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა

დავით კერესელიძე*

წინამდებარე მიმოხილვაში წარმოდგენილია საქართველოს სასამართლოების მიერ განხილული ზოგიერთი საქმის ცალკეული გარემოების (ფაქტის) უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ გაკეთებული შეფასება და მათი კონკრეტული სამართლის ნორმით კვალიფიკაცია. მიმოხილვაში დაცულია სასამართლოს გადაწყვეტილებების სტილი და გამოყენებული ტერმინოლოგია.

1. ნახევარსარდაფი, როგორც საცხოვრებელი ბინის არსებითი შემადგენელი ნაწილი

მოსარჩელეს განცხადებით, მას გააჩნდა სახლმფლობელობა და მოპასუხის ბინის ქვეშ განლაგებული სადავო ნახევარსარდაფი წარმოადგენდა მისი ოჯახის საკუთრებას, რომელიც წლების მანძილზე მის მფლობელობაში იმყოფებოდა. 1996 წლის დეკემბერში მან გაყიდა საცხოვრებელი ბინა, ხოლო სარდაფი დაკეტა. მოპასუხემ 1997 წლის 20 ივნისს გატეხა სარდაფის კარი და დაეუფლა მას. მოპასუხემ სარდაფი საკუთრებაში გაიფორმა ბათუმის მერიის ტექნიკური კომისიის 1998 წლის 28 მაისის №4 ოქმის საფუძველზე შექმნილი საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების №2 აქტით. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხის საკუთრებაში გადაცემული ნახევარსარდაფის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა და მის კანონიერ მფლობელობაში გადაცემა, შესაბამისად, ბათუმის მერიის ტექნიკური კომისიის ოქმისა და საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების აქტის ბათილად ცნობა სადავო სარდაფის ნაწილში.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2000 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ 2000 წლის 21 აგვისტოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა. სააპელაციო პალატამ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო ნახევარსარდაფი არ წარმოადგენს არცერთი მობინადრის საკუთრებას და, მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრებელი ბინა, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ნახევარსარდაფს, არაერთგზის გაიყიდა, განსაზღვრული არ ყოფილა სარდაფით სარგებლობის წესი.

უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ 2001 წლის 10 იანვრის №3კ/46-01 განჩინებით სწორად მიიჩნია სადავო ნახევარსარდაფის სააპელაციო პალატისეული კვალიფიკაცია სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მიხედვით, როგორც ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი და არ განიხილა იგი დამოუკიდებელ ნივთად. სასამართლომ 150-ე მუხლზე დაყრდნობით განმარტა, რომ „არსებითი შემადგენელი ნაწილის იურიდიული ბედი მთლიანად დაკავშირებულია ნივთთან და, როგორც წესი, იგი არ შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი; აღნიშნული ნორმის თანახმად, ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილია ის, რისი გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ან

* GEPLAC-ის დირექტორის მოადგილე სამართლებრივ საკითხებში.

დანიშნულების მოსპობის გარეშე; მოცემულ შემთხვევაში, სადავო ნახევარსარდაფი მყარადაა დაკავშირებული მოპასუხის საცხოვრებელ ბინასთან, ვინაიდან სადავო სარდაფის ქერი საცხოვრებელი ოთახის იატაკია”. შესაბამისად, რადგანაც მოსარჩელეს (კასატორს) უკვე გასხვისებული ჰქონდა სახლმფლობელობა და „აღარ ჰქონდა უფლება დაეყენებინა საცხოვრებელ სახლში ნივთის შემადგენელი ნაწილის ფლობის ან საკუთრებაში გადაცემის საკითხი”, სასამართლომ მას უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

კომენტარი: უდავოდ მართებულია უზენაესი სასამართლოს მსჯელობა იმ ნაწილში, რომელშიც საუბარია ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილის ბედის ნივთთან მყარად დაკავშირებაზე. თუმცა ის არგუმენტაცია, რომელსაც სასამართლო იშველიებს იმის დასაბუთებლად, რომ სარდაფი საცხოვრებელი ბინის არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, სადავოდ უნდა მივიჩნიოთ; როგორც ბინა, ისე სარდაფი წარმოადგენს ნივთის (მინის ნაკვეთის) არსებით შემადგენელ ნაწილს და, ცხადია, მათზე საკუთრების უფლების გადაცემა შესაბამისი მინის ნაკვეთის გასხვისების გარეშე შეუძლებელია, მაგრამ იმის მტკიცება, რომ სარდაფი ბინის არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, იმიტომ რომ მისი ქერი ამ უკანასკნელის იატაკია, ნაკლებად დამაჯერებელია. ალბათ, უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ უზენაესი სასამართლო აღიარებს სარდაფს, როგორც მინის ნაკვეთის და არა საცხოვრებელი ბინის არსებით შემადგენელ ნაწილად და ცალკე საკუთრების უფლების ობიექტად.

2. პრივატიზაციის ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ გარიგებას

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ 2001 წლის 10 ოქტომბრის №3კ/332-01 და №3კ/554-01 განჩინებებით გააუქმა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის შესაბამისად 2000 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება და 2001 წლის 16 მარტის განჩინება და საქმეები ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატას.

უზენაესი სასამართლო დაეყრდნო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ პუნქტს, რომლის თანახმადაც „ადმინისტრაციული გარიგება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი გარიგება”.

შესაბამისად, უზენაესი სასამართლო მიიჩნევს პრივატიზაციის ხელშეკრულებას ადმინისტრაციულ გარიგებად და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტზე დაყრდნობით თვლის, რომ დავა ასეთი „ადმინისტრაციული გარიგების“ (პრივატიზაციის ხელშეკრულების) დადების ან შესრულების თაობაზე წარმოადგენს ადმინისტრაციული დავის საგანს.

კომენტარი: ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში უზენაესი სასამართლო ეყრდნობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ პუნქტში მოცემული „ადმინისტრაციული გარიგების“ სადავო დეფინიციას. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ისევე, როგორც საჯარო სამართლის სხვა იურიდიული პირი, პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში უნდა მონაწილეობდეს, როგორც რიგითი სუბიექტი და გაუთანაბრდეს კერძო სამართლის სხვა სუბიექტებს (პირებს). ადმინისტრაციული ორგანო არ შეიძლება წარმოადგენდეს კერძო სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტს – პირს. „ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან“ გარიგების დადებისას იგი უნდა მოგვევლინოს მხოლოდ სახელმწიფოს წარმომადგენლად. შესაბამისად, სახელმწიფოს ერთი წარმომადგენლის მიერ მის სხვა წარმომადგენელთან („სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან“) გარიგების დადება წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ საკუთარ თავთან გარიგების დადებას.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, უმჯობესი იქნება, თუ დავა დაკავშირებული „ადმინისტრაციულ გარიგებასთან“, რომელიც თავად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად „სამოქალაქო გარიგებას“ წარმოადგენს, განიხილება არა ადმინისტრაციულ სამართალში, არამედ კერძო სამართალში მოქმედ პრინციპებზე დაყრდნობით.

3. მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მხოლოდ ხელშეწყობი პირის ბრალეული ქმედების საფუძველზე

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა 2001 წლის 5 ოქტომბრის №3კ/670-01 განჩინებით დაეთანხმა თბილისის საოლქო სასამართლოს მოსაზრებას, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მოსარჩელეს მაშინ წარმოეშობოდა, თუ მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები გავრცელდებოდა, გახმაურდებოდა ან გამოქვეყნდებოდა მოპასუხის ბრალეული ქმედებით.

ამასთან, უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ პირის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია სასამართლოს მეშვეობით შესაბამის დაცვას ექვემდებარება, თუ სახეზეა შემდეგი გარემოებანი:

- შელახულია პირის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია;
- პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობები გავრცელდებულა;
- გავრცელებული ცნობები სინამდვილეს არ შეესაბამება.

პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვის შესახებ სარჩელის განხილვისას მოპასუხეს წარმოადგენს პირი, ვინც ასეთი ცნობები გაავრცელა. მტკიცების ტვირთი აწევს (ეკისრება) მოსარჩელეს.

4. საავტორო უფლების დარღვევის ფაქტი წარმოშობს მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა 2001 წლის 12 ოქტომბრის №3კ/471-01 განჩინებით ნაწილობრივ არ დაეთანხმა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებას არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის ნაწილში.

მოსარჩელემ, რომელიც ნაწარმოების შემდგენელ-ავტორს წარმოადგენს, მიმართა სასამართლოს მოთხოვნით მოპასუხეებისათვის, რომელთაც მისი ნაწარმოების რეპროდუცირება და შეცვლილი სათაურით გავრცელება მოახდინეს ავტორის თანხმობის, საავტორო ჰონორარის გადახდისა და ავტორის სახელის მითითების გარეშე, და ამგვარად დაარღვიეს მისი განსაკუთრებული საავტორო ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კომპენსაციის სახით 50000 ლარის დაკისრების და ნაწარმოების რეპროდუცირება-გამოცემის აკრძალვის თაობაზე.

თბილისის საოლქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელეს „საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით ეკუთვნის საავტორო უფლება მასალის შერჩევასა და განლაგებაზე და მოპასუხეებს აუკრძალა წიგნის რეპროდუცირება-გამოცემა. ამასთან, საოლქო სასამართლომ მოპასუხეთათვის სოლიდარულად 50000 ლარის დაკისრების მოთხოვნა უსაფუძველად მიიჩნია, რადგანაც, სასამართლოს აზრით, „მართალია, კომპენსაციის მოთხოვნის დროს მოსარჩელე

თავისუფლდება მისთვის მიყენებული ზიანის დოკუმენტური მტკიცებისაგან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საავტორო უფლებების მფლობელი ასევე თავისუფლდება თვით ზიანის არსებობის ფაქტის დადასტურებისაგან“.

საოლქო სასამართლომ გადაწყვეტილებით უარი უთხრა მოსარჩელეს კომპენსაციის გადახდაზე იმ საფუძველზე, რომ კომპენსაციის მოთხოვნის დროს საავტორო უფლების მფლობელმა უნდა დაადასტუროს ზიანის არსებობის ფაქტი, რამდენადაც კომპენსაციის კონკრეტული ოდენობის განსაზღვრა უნდა მოხდეს ზიანის მიახლოებითი ოდენობის შესაბამისად, თუ არ არსებობს ზიანი, მოპასუხეს კომპენსაცია ვერ დაეკისრება. სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელემ ვერ დაასაბუთა, რომ მას მიადგა ზიანი.

უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საოლქო სასამართლოს კოლეგიის ზემოაღნიშნული მსჯელობა შეიძლება გაზიარებულ იქნეს მხოლოდ ქონებრივი ზიანის არსებობის ნაწილში, ე.ი. მხარეს ევალუბოდა იმის მტკიცება, თუ რა შემოსავალს მიიღებდა იგი, მოპასუხეებსა და მას შორის ნორმალური სამართლებრივი ურთიერთობა რომ არსებულებოდა, მაგრამ ასეთი მსჯელობა არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს მოსარჩელეს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ნაწილში; „თვით ის ფაქტი, რომ მოპასუხეებმა დაარღვიეს მოსარჩელეს არაქონებრივი საავტორო უფლება (რაც დადასტურებულად მიიჩნია საოლქო სასამართლომ), უკვე წარმოშობს მისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველს“. უზენაესმა სასამართლომ მიუთითა საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის თანახმადაც „ზიანის ანაზღაურების განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დარღვევის არსი, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელისათვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი“.

5. საზიარო მინის ნაკვეთის ნატურით გაყოფა

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ 2001 წლის 12 ოქტომბრის №3კ/592-01 განჩინებით გააუქმა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამენარმეო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სახლმფლობელობის საეზოვე მინის ნაკვეთი მხარეებს საზიარო უფლებით ეკუთვნოდათ და განმარტა, რომ სადავო მინის ნაკვეთი არ შეიძლება ნატურით გაყოფისას დაყოფილიყო ერთგვაროვან ნაწილებად, რადგანაც შეუძლებელი იყო მისი გაყოფა დანიშნულების გამოყენების თვალსაზრისით ღირებულების დაკარგვის გარეშე.

უზენაესმა სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების დაკარგვის გარეშე და განმარტა, რომ ეზოს ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფისას არ არის აუცილებელი, რომ ეზო იყოფოდეს სახლის მესაკუთრეებზე ზუსტად მათი კუთვნილი იდეალური წილების შესაბამისად. მინის ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მინის ცალკეული ნაწილის დანიშნულება და მნიშვნელობა საყოფაცხოვრებო თვალსაზრისით, მხარეთა ინტერესები მისი თითოეული ნაწილის მიმართ, მინის მდებარეობა და მისი განლაგება მისასვლელ გზასთან მიმართებაში. არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ არ შეიძლება მინის გაყოფა ერთგვაროვან ნაწილებად, თუ შესაძლებელია, თანაბრად იქნეს გათვალისწინებული მხარეთა საყოფაცხოვრებო ინტერესები. შესაძლებელია მინის სედარებით დიდი ფართი მიეცეს ერთ მხარეს, მაგრამ მეორე მხარისათვის გადაცემული მინის ფართი თავისი დანიშნულებით და მდებარეობით იმგვარი ღირებულების იყოს, რომ მას გაუთანაბრდეს.

სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

რაც შეეხება ღირებულების შემცირებას, უზენაესი სასამართლოს აზრით, ნივთის ღირებულებაში იგულისხმება მისი საყოფაცხოვრებო დანიშნულება. სახლის ეზო უნდა იყოფოდეს ისე, რომ გაყოფის შედეგად წარმოქმნილმა ეზოებმა საყოფაცხოვრებო დანიშნულება არ დაკარგონ.

უზენაესმა სასამართლომ არასწორედ მიიჩნია ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლომ მისი გადაწყვეტილებით არსებითი მნიშვნელობა მიანიჭა იმას, თუ რამდენად შესაძლებელია მიწის გაყოფა თითოეულ მესაკუთრეთა შორის თავიანთი იდეალური წილების შესაბამისად. მან განმარტა, რომ, მართალია, სამოქალაქო კოდექსის 212-ე მუხლის თანახმად ბინის მესაკუთრის წილი საერთო საკუთრებაში განისაზღვრება მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის შეფარდებით ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ მთელ ფართობთან, მაგრამ მიწის ნაკვეთის ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიეცეს არა ფართის ზუსტად თანაბარი ფართობის ნაწილებად დაყოფას, არამედ მის დაყოფას სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მიხედვით ერთგვაროვან ნაწილებად.